



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოქვი

მოქვი, მდინარე აფხაზეთის არ-ის ოჩამჩირის მუნიციპალი-ტეტში, სიგრძე – 47 კმ, აუზის ფართ. – 336 კმ². სათავეს იღებს ზ. დ. 2560 მ-ზე, კოდორის ქედის სამხრ. კალთიდან. შავ ზღვას ერთვის სოფ. ჯუყმურის მახლობლად. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. გაზაფხულზე და ზაფხულში იცის წყალდიდობა, წლის დანარჩენ დროს – წყალმოვარდნები. საშ. წლიური ხარჯი 18 მ³/წმ. ქვემო წელში მდინარე მუანდრირებს. მდინარის ნაპირას მდებარეობს X ს. მოქვის საკათედრო ტაძარი: „ამ მდინარესა ზედა, მთაში, არის მოქვის ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

ი. აფხაზავა
